# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-453

02/06/2020

ქ. თბილისი

**ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მეტალურგიულ ქარხანაში ახალი ინდუქციური ღუმელის დამატება და სილიკომანგანუმის ჩამოსასხმელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და მე-9 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მეტალურგიულ ქარხანაში ახალი ინდუქციური ღუმელის დამატება და სილიკომანგანუმის ჩამოსასხმელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია) სკოპინგის დასკვნა №48 (29.05.2020);
2. შპს „ჯეოსთილმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №48 (29.05.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეოსთილს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეოსთილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი